- რურალ–ტურიზმი (სოფლის ტურიზმი)



რურალ-ტურიზმი (სოფლის ტურიზმი) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კერძოდ კი **მაჭახლის თემში** შესაძლებლებელია. რასაც მოწმობს ბოლო პერიოდში უცხოელი დამთვალიერებლის მხრიდან დიდი მოთხოვნა. უცხოელ სტუმარს საშუალება ეძლევა გაეცნოს თემში მცხოვრები მოსახლეობის ყოფით ცხოვრებას.



მაჭახლის თემი საკმაოდ დიდი წარსულის და ტრადიციების მქონეა, სადაც მოსახლეობა არის ძალიან თბილი და მეგობრული. დასვენების პერიოდში თემის უნიკალური ბუნების მშვენიერებიდან გამომდინარე დამსვენებელს საშუალება ეძლება მოაწყოს ლაშქრობები იმ ჩანჩქერებზე და ისტორიულ ციხეებზე, რომელიც არის საინტერესო. დაათვალიეროს და გაეცნოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახეობებს, კერძოდ კი მეფუტკრეობას. მეცხოველეობის სახეობებს: გაეცნოს ძროხის მოვლის პროცესს, გაისეირნოს ცხენით. თავისი ხელით მოამზადოს მაჭახლის ხეობისათვის დამახასიათებელი კულინარიული კერძები.

რურალ-ტურიზმი (სოფლის ტურიზმი) საშუალებას იძლევა მთელი წლის განმავლობაში განხორციელდეს ტური.



აღნიშნული სახეობის ტურიზმი ხელს უწყობს სოფლად მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო ქვეყნისათვის იმიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას. სოფლის მეურნეობის ტრადიციული სახეობების განვითარებას.